როცა ადამიანები მთვარეზე გასაფრენი ბილეთების რიგში დგანან

შორენა შენგელია

აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, უკვე 15 წელიწადია, ქუჩაში ვართ, ლტოლვილებად, იმის გამო, რომ რუსეთს არ უნდა საქართველო გაუშვას თავისი გავლენის სფეროდან. მოგეხსენებათ, საქართველო ევროპა-აზიის გზაჯვარედინზეა და აქედან უმოკლესი გზით შეიძლება გავიდეს ევროპაში ბენზინი და გაზი.

აფხაზეთი - ეს პატარა ედემის ბაღი, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სუბტროპიკული კლიმატის საკურორტო მხარე, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, რუსებს თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ. საბჭოთა წყობილება დაიშალა, მაგრამ რუსები საქართველოს ამ საუკეთესო მხარეს ვერ ელევიან და სურთ, სამუდამო დაიმკვიდრონ იგი. ჩვენ, აფხაზეთის მოსახლეობა, თავის დროზეც მხოლოდ დაქვემდებარებაში ვჭირდებოდით რუსებს, ახლა კი აღარც ამ სტატუსით ვჭირდებით, რადგან ეს ერთი მუჭა ქართველები ასეთი დიდგულა და დაუმორჩილებელნი გამოვდექით.

ადამიანები მხოლოდ მოცეკვავე კაცუნები ყოფილან დიდი პოლიტიკური თამაშისა, უსინდისო პოლიტიკოსებისა, რომლებიც, ქვეყნებს ანგრევენ და აპარტახებენ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. არავის პოლიტიკას არ აქვს გამართლება, რომელმაც შეიძლება ომი და კონფლიქტები გამოიწვიოს. ყველა არეულობა მხოლოდ ადამიანების საწინააღმდეგოდაა მიმართული. ჩვენ მონებად გამოყენებული მსხვერპლი ვართ, რომელთა სიცოცხლის ღირებულება უფრო მცირეა, ვიდრე ერთი ავტომატის ან ბომბის. ასეთია მთელი პლანეტის დაუცველი ადამიანების ბედი, რომლებიც იღუპებიან, ეწირებიან და თვითონ არ იციან, რას. ასეთი ადამიანების ცხოვრება არავის არაფრად მიაჩნია. არადა, იგი ღმერთის მონიჭებულია, ლამაზი და სრულყოფილი.

რა სასაცილო და თანაც გულსატკენია, როცა არსებობს ამდენი თითქოსდა დემოკრატიის დამცავი მექანიზმი და რა მცირეა მათი გაკეთებული საქმე ამ უბედური ხალხის წინაშე.

ნუთუ ერთეულების გადაწყვეტილებით ამდენი უბედურების მოტანა დასაშვებია?

ხანდახან ასე მგონია, კაცობრიობის უმდიდრეს ნაწილს ძალიან სჭირდება გასართობები: აფეთქებები, მოგზაურობები... ასეთ დროს კი ვინ ერთობა, ვინ სამსახურს შოულობს, ვინ მათ ავადმყოფურ ჟინს აკმაყოფილებს, ვინ ომობანას თამაშობს, რომელიც, ეტყობა, ბავშვობაში არ იყო განებივრებული სათამაშოებით და ახლა „კაჟკაცურად" ომობს უსუსურთა წინააღმდეგ.

რა საზიზღრობაა, როცა პოლიტიკოსების უმრავლესობა ასე ცინიკურად და დაუნდობლად დასცინის ჩვეულებრივი ადამიანების სუფთა ადამიანურ გრძნობებს - პატრიოტიზმს, - მშობლიური მიწის, საკუთარი ბუდის, ოჯახის სიყვარულს. ისინი ყველაფერს ჩვენსას, მათ შორის სიცოცხლესაც, თავიანთი ამბიციებისთვის იყენებენ, სწორედ მათი ლოზუნგების მსხვერპლი ხდება ჩვენი მომავალი, ჩვენი შთამომავლობა. ადამიანები სუსტები და მიმნდობები ვართ, ამიტომ ადვილად ვიჯერებთ მათ ნათქვამს.

მახსოვს, 1991 წელს, როცა რუსეთი სოხუმს ბომბავდა და მიწასთან ასწორებდა, იმ დროს ყველაზე მეტი რუსი იყო დარჩენილი ქალაქში. სიმწრით მეცინება, როცა მახსენდება რუსეთის მთავრობის განცხადება, რომ თავიანთი მოქალაქეების, რუსების დასაცავად შემოვიდნენ აფხაზეთში. 2008 წლის აგვისტოში კი იმავე მოტივით, რუსეთის მოქალაქე ოსების დასაცავად შესულან სამაჩაბლოში, იმ ოსებისა, რომლებსაც ბესლანის ტრაგედია მოუწყეს და შვილები დაუხოცეს...

რა მიამიტურად ავყვებით ხოლმე ამ მოსყიდულ-მარიონეტულ ტელევიზიებში გამოთქმულ მოწოდებებს, ვიჯერებთ და თვითონაც არ ვიცით, რას ან ვის ვიცავთ.

ომი თამაშია, ჩვენი გასაწირი, რომელშიც ძლიერს არ განიკითხავენ, თორემ აფხაზეთის სასაკლაო არავის სტკენია, ჩვენს მეტს. დავიჯეროთ, აფხაზები და ოსები რუსებს ჩვენზე მეტად უყვართ? თუ თავისი ჩეჩენი, ინგუში, დაღესტნელი, ჩერქეზი არ სტკივა, აფხაზი და ოსი სტკივა მაინცდამაინც? არა, რუსისთვის ყველა კავკასიელი ერთია, უბრალოდ, ამ ეტაპზე ისინი სჭირდება იარაღად, ვისაც „ეფარება".



ადამიანებმა უნდა გავიღვიძოთ, ჩვენს სიცოცხლეს უნდა გავუფრთხილდეთ, ჩვენს ბედზე ვიზრუნოთ და არა - პოლიტიკოსების კარგად ყოფნაზე.

მივმართავ თხოვნით ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც სწორედ მშვიდობის უზრუნველყოფისა და ხელშეწყობისთვის არიან შექმნილნი. მხოლოდ მათ დაპირებები და ჰუმანიტარული დახმარებები არ კმარა, უფრო ქმედითუნარიანნი უნდა გახდნენ. რატომ უნდა ვიყოთ 18 წელი ლტოლვილები, რატომ უნდა ვცხოვრობდე მე სხვის ქვეყანაში, ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედი რატომ უნდა შევწირო სხვის პოლიტიკურ ამბიციებსა და შეცდომებს? რატომ მსოფლიომ არ იკითხა, რა მშვიდობას ამყარებდა რუსეთი თავისი სამშვიდობოებით, როცა

გაგრძელება მე4 გვ.ზე

როცა ადამიანები მთვარეზე გასაფრენი ბილეთების რიგში დგანან

მესამე გვერდიდან

სახლებში მშვიდობიანი მოსახლეობა ვერ დააბრუნა?

ჩვენ რუსეთთან მრავალწლიანი თანაცხოვრების საუკეთესო კულტურა გვქონდა, რომელსაც ახლაც ვერ ველევით და არც გვინდა შეველიოთ. რუსებსაც და ქართველებსაც მეგობრობა გვინდა, მაგრამ პოლიტიკოსები არ გვაძლევენ ამის საშუალებას, ისინი ისე ცვლიან ისტორიას, რომ სიძულვილის გარდა ამას არაფერი მოაქვს.

განა შეიძლება აფხაზს ქართველზე მეტად რუსი უყვარდეს? აფხაზი და ქართველი ხომ ერთი მენტალიტეტი, ერთი ისტორია და ნათესაობაა. აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ ბაღაფშს, რომელიც ქართველებთან მტრობით რუსებით წინაშე თავს იწონებს, დედა, ცოლი, ნათესავები ქართველები ჰყავს, მთელი ახალგაზრდობა მან ქართულ გარემოცვაში გაატარა და დღესაც ქართველებთან ცხოვრობს.

ეს არის უსინდისო პოლიტიკური თამაში, რომელიც პოლიტიკურ ამბიციებს არ სცილდება.

საბერძნეთის ტელევიზიაში ცნობილი ჟურნალისტის პაპაჩელას გადაცემაში „კალეკო" მოყვანილმა ფაქტებმა კიდევ ერთხელ შემაძრწუნა, რომელმაც დაუნდობელი, მტრული ენით აღწერა ვიეთნამ „სინამდვილე", რომელშიც შურისძება უფრო იგრძნობოდა, ვიდრე თანადგომა.

განა რა დაშავა ქართველმა ხალხმა ქვეყნიერების წინაშე, რომელიც ქრისტიანობის და კეთილშობილების სადარაჯოზეა 17 საუკუნე, რომელსაც უდიდესი ისტორიული და ლიტერატურული მემკვიდრეობა აქვს, რომელიც მუდამ საბერძნეთის მეგობარი ქვეყანა იყო, რომელმაც თურქებისგან დევნილი უამრავი ბერძენი შეიფარა და შეიყვარა და ეს ბერძნები დღესაც საქართველოს სიყვარულით ცხოვრობენ. ნუთუ ჩვენს ხალხს ერთმანეთთან მეგობრობის მაგალითები ცოტა აქვს? ქვეყანა, რომელშიც 65 ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბედნიერად, დღეს ასე ულმობლად უნდა გაითელოს და გაისრისოს?

ბერძნები საბჭოთა პერიოდში აფხაზეთიდაგნ გაასახლეს სტალინისა და ბერიას გადაწყვეტილებით. ესაც ხომ რუსული, საბჭოთა პოლიტიკა იყო. განა ცოტა ქართველი შეეწირა ყველაფერ ამას? რა კავშირშია საქართველო და ქართველები ამ უბედურებასთან? შევარდნაძისა და გორბაჩოვის მიერ დაშლილი, გახრწნილი საბჭოთა წყობის ნგრევა საქართველოს დაატეხეს თავს რუსებმა. ახლა ნაკაშვილისადმი არასიმპათიურად განწყობილი პუტინ-მედვედევის ნასროლ ბომბებს უკვე ველარ ვიგერიებთ და საბოლოოდ უნდა გაანადგურონ საქართველო და ქართველები? უკვე მრავალი რუსი შოვინისტი ოცნებობს უქართველებო საქართველოზე, რომლის განხორციელებას უკვე შეუდგნენ კიდეც. რისთვის? ყველაფერი ეს იმისათვის, რომ ქართველებმა დამოუკიდებლად ცხოვრება მოინდომეს?

ერთადერთი იმედი ახლა, ჩვენი უძველესი ერის გადასარჩენი, მთელი დანარჩენი მსოფლიოა. ჩვენ, ხალხს, სიცოცხლე და მეგობრობა გვინდა ყველასთან. სირცხვილია კაცობრიობისათვის, 21-ე საუკუნეში ასეთი რამ ხდებოდეს. მიკმართავ ბერძნებს, - საქართველოს მეგობარი და ნათესავი ქვეყნის შვილებს, - ნუ გაგვცვლის და ნუ გათელავს საუკუნეებით ნაშენ ურთიერთობას არაავტორიტეტული, განაწყენებული რამდენიმე ბერძენი მოსახლის გამონაქვამით. არც 1 ბარელი ნავთით და გაზით შეიძლება ამ ურთიერთობების და ისტორიული სინამდვილის განსაზღვრა.

არადა, რა ლამაზია სიცოცხლე ყველა ადამიანისა, როცა ის თავისი მიმდინარეობით მიედინება, როცა ადამიანი იზრდება, მშვენდება, უყვარს, მრავლდება და ბერდება. მართალია, ბევრმა ჩვენგანმა, ამ დაუნდობელი პოლიტიკის გამო ეს ასე ვერ განვიცადეთ და რა დასანანია, რომ დედამიწაზე მოსახლეობის ნახევარზე მეტი 21-ე საუკუნეში ამ საშინელების მსხვერპლია, მაშინ, როცა ადამიანების ერთი ნაწილი მთვარეზე სამოგზაურო ბილეთების რიგში დგას.

არადა, დედამიწა ყველას ეყოფა საცხოვრებლად, უფრო კარგები რომ ვიყოთ. დედამიწა ყველას მოგვალევს, ყველას გვაჭმევს, ყველას შეგვჭამს და ისევ ახალს გააჩენს, როგორსაც უნდა.

პ.ს. ავტორისაგან: მასალა მომზადებულია საბერძნეთის რუსულენოვანი გაზეთისათვის, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როცა საბერძნეთში საქართველოსადმი საზიზღარი განყობა იყო.